

## ბაფის თარგმნის პოლიტიკა და პროცედურები

### თარგმნის პოლიტიკა:

თარგმნის ნებართვის მიღებისა და ხელშეკრულების დადების შემდეგ შედგება ექსპერტთა კომიტეტი (Review Committee), რომელსაც ხელმძღვანელობს ე.წ. მთავარი მთარგმნელი (Principal Translator), კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც, როგორც წესი, არის ბაფის თარგმანი. ექსპერტთა კომიტეტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 7-9 კაცის შემადგენლობით ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის (IFRS Foundation) მოთხოვნების/თარგმნის პოლიტიკის შესაბამისად. ექსპერტთა კომიტეტის წევრების შერჩევა ხდება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ან ფასს-ების ფონდის თარგმნის პოლიტიკის თანახმად, შესაბამისად.

ფასს-ების ფონდის თარგმნის პოლიტიკის თანახმად, კომიტეტის წევრები კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ და მშობლიურ ენას და ამავე დროს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ენას და უნდა ჰქონდეთ ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება. ამიტომ ფასს-ების თარგმნის დროს ექსპერტთა კომიტეტის წევრების შერჩევა ძირითადად ხდება წამყვანი აუდიტური ფირმების, ძირითადად, საერთაშორისო აუდიტური ფირმების წევრი პროფესიონალი ბუღალტრებისგან.

ექსპერტთა კომიტეტის წევრთა ცოდნისა და გამოცდილების მიმართ ანალოგიური მოთხოვნები აქვს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას. თუმცა, მათი პოლიტიკის თანახმად ექსპერტთა კომიტეტის წარმომადგენლობაში ზემოაღნიშნული მახასიათებლების მქონე პიროვნებებთან ერთად (ანუ პროფესიონალ ბუღალტრებთან ერთად) უნდა იყვნენ სახელმწიფო სექტორის და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებიც (ანუ უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები).

### თარგმნის პროცედურა:

1. განახლებული ძირითად ტერმინებს იხილავს და ამტკიცებს ექსპერტთა კომიტეტი.
2. განისაზღვრება მთარგმნელთა ჯგუფი (პიროვნებები, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ და ქართულ ენებს და აქვთ ამ სფეროში თარგმნის გამოცდილება) და დაურიგდებთ სათარგმნი მასალა დამტკიცებულ ძირითადი ტერმინების სიასთან ერთად, რომელსაც ისინი იყენებენ თარგმნის პროცესში.
3. ექსპერტთა კომიტეტი მთარგმნელებისგან მიღებულ თარგმანის პირველ ვერსიას (განსახილველ ვერსიას) განიხილავს, ანუ იხილავს თარგმანის სისწორეს ორიგინალურ დამტკიცებულ ინგლისურ ტექსტთან შედარებით. მათ არა აქვთ უფლება თარგმანში რაიმე ტექსტის დამატების ან გამოკლების, ან განმარტების, მხოლოდ ამოწმებენ თარგმანის სისწორეს და, საჭიროების შემთხვევაში, ასწორებენ გრამატიკულად, რათა თარგმნილი ტექსტი ადვილად აღსაქმელი და გასაგები იყოს მშობლიურ ენაზე.
4. კომიტეტის წევრები შენიშვნებს უგზავნიან კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც შენიშვნებს პირდაპირ გადასცემს მთარგმნელებს, ან, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ შენიშვნებს ჯერ განიხილავს კომიტეტის წევრებთან ერთად, შეთანხმების მისაღწევად.

5. მთარგმნელების მიერ თარგმანში შენიშვნების გათვალისწინებას აკონტროლებს კომიტეტის თავმჯდომარე.
6. მთარგმნელთა მიერ შესწორებების შეტანის შემდეგ თარგმნილ მასალას ამოწმებს ქართული ენის სპეციალისტი სტილისტი -რედაქტორი და ექსპერტთა კომიტეტი ამტკიცებს თარგმანის საბოლოო ვერსიას.
7. თუ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მასალა ითარგმნება, თარგმანის პროექტი გამოქვეყნებამდე წინასწარი განხილვისთვის ეგზავნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას და გამოქვეყნდება მხოლოდ მათგან თანხმობის მიღების შემდეგ. ამასთან, თარგმნილი მასალის ელექტრონული ფაილების ასლები და, როდესაც შესაფერისია, გამოცემული ნაბეჭდი მასალა ეგზავნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას.
6. ფასს-ების თარგმნის პოლიტიკის თანახმად კი თარგმანი მხოლოდ მას შემდეგ გამოქვეყნდება, როდესაც ყველა შესწორებას დაამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე. თარგმნილი მასალის ელექტრონული ფაილების ასლები და გამოცემული ნაბეჭდი მასალა ეგზავნება ფასს-ების ფონდს.

## **თარგმნის პოლიტიკასა და პროცედურების შესაბამისად**

### **განხორციელებული პროექტები**

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსაგან თარგმნის ნებართვის მიღებისა და ხელშეკრულების საფუძველზე, მათთან შეთანხმებული თარგმნის პოლიტიკასა და პროცედურების შესაბამისად, ბაფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნასა და გამოცემას ახორციელებს 1998 წლიდან. ბაფში ითარგმნა და გამოიცა:

1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) – 1998 წლის, 2004 წლის, 2007, 2009, 2015 და 2017 წლის გამოცემები;
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) – 1998 წლის, 2000 წლის, 2004 წლის 2007, 2009 2014 და 2017 წლის გამოცემები;
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებში (IFRS SMEs) 2009 და 2014 წლის გამოცემები;
4. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო - 2009 წლის გამოცემა;
5. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (2015 წლის გამოცემა);
6. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტში (ორტომეული, 2013 წლის გამოცემა, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია);
7. სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ზომის აუდიტურ ფირმებში ხარისხის კონტროლის სტანდარტების დანერგვის შესახებ:

8. სტანდარტი შეზღუდული რწმუნების მიმოხილვის გარიგებების შესახებ მცირე და საშუალო საწარმოთათვის (გამოცემული 2014 წლის მარტში) ;
9. ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო ლიტერატურა და პრაქტიკული სავარჯიშოები - 2003 წლის, 2008 წლის, 2012 და 2017 წლის გამოცემები.

გარდა აღნიშნულისა, ბაფი მონაწილეობდა თარგმნასა და ექსპერტიზასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტებში, მათ შორის საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ექსპერტიზაში.